საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა რევოლიუციონური პარტია

№ 341 1918 წ. ოთხშაბათი სექტემბერი 25. № 341

# სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

ადერბეიჯანელები ბაქოს დედა-ქალაქად აცხადებენ. პროფ. ცუგმაერის აზრით ეს საკითხი ცალკე გადაწყდება. ბაქოს გაემგზავრა ავსტრიელების დელეგაცია. ბაქოსა და ტფილისს შორის საფოსტო და სატელეგრაფო ურთიერთობა აღდგენილია. მოკლე ხანში ტფილისში ნავთი იქნება, ნავთსადენს საწრაფოდ აკეთებენ.

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

ღირს: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

კნეინა დარია ევგენის ასული და მიხეილ ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ თავიანთ ძვირფას შვილის

ირინეს

გარდაცვალებას. პანაშვიდი საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა ოთხშაბათს, 25 ენკენისთვეს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, 10 საათზე. 2059

კნეინა ნინო ელიზბარის ასული ქობულოვისა აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ თავის ძვირფას შვილი-შვილის

ირინეს

გარდაცვალებას. პანაშვიდი საღამოს 7 საათზე. 2059

დედ-მამა: მღვდელი ბაგრატი და დარია და დაი ნატალია ბარნაბიშვილები გულდათუთქულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელ და დაუვიწყარ

თამარ ბაგრატის ასულ ბარნაბიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება სოფ. ქარელში. 2065

## ტფილისის მაზრის სამხედრო უფროსის განცხადება

ჩემ წინანდელ განცხადებათა დამატების და ცვლილების სახით ვაცხადებ, რომ, ვინც 1914 წლის ივლისის 19-მდე, ომის დაწყებამდე, საქართველოს ტერიტორიის რომელიმე ადმინისტრატიულ ერთეულს იყო მიწერილი, საქართველოს მოქალაქედ ითვლება და ვალდებულია სამხედრო ბეგარა მოიხადოს.

უკანასკნელი ვადა ჩემდამი რწმუნებულ სამართველოში ჯარში გასაწვევთა გამოცხადებისა დანიშნულია სექტემბრის 30-ს. ვინც ამ დროისთვის არ გამოცხადდება, დეზერტირად ჩაითვლება და გასამართლებული იქნება სამხედრო სამართლით, როგორც დეზერტირი.

ტფ. მაზრის სამხედრო უფროსი პოლკოვნიკი ჟღენტი. 1339

1918—19 წლის საოპერო სეზონი

## სახელმწიფო თეატრი

დირექცია ნ. ლ. ლემეცკის

ოთხშაბათს, სექტემბრის 25-ს

## ფაუსტი

ოპერა 5 მოქმ., გუნოს მუსიკა.

მონაწილეობენ: ქ.ქ. ვოლ-ლევიცკისა, მოროზოვისა, ოვსიანიკოვის; ბ.ბ. ზალიპსკი, ნიკოლსკი, ინაევი, ქზროვი

დირიჟორი: ცეხოვსკი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასა ღიაა 10—2 ს., საღამოს 6 ს. სპექტაკლის დასრულებამდე.

ანონსი: ხუთშაბათს, სექტემბრის 26-ს, „ცარსკაია ნევესტა“, პარასკევს, 27-ს „პიკოვაია დამა“. 1337



## ცირკი „მოდერნი“

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, ოთხშაბათს სექტემბრის 25-ს, გაიმართება

## გალა-სპორტი

3 განყოფ. და 18 ნომრით. მონაწილეობენ ცნობილი იუმორისტები მარიამ და ანტონ ზინკოვსკები, ესმერალდა, სლასტუშინსკი, ვუდი და მაი და სხვ.

ანონსი: მოდის მსოფლიო ატრაქციონი, მთის სამი არწივი.

მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი 2062

## განცხადება

ფოთის ვაჟთა გიმნაზიაში მისაღები და განმეორებითი გამოცდები დაიწყება სექტემბრის 23-დან (ახალი სტილით), ხოლო რეგულიარული მეცადინეობა კი ოქტომბრის 1-დან.

1338 დირექტორის მოადგილე ქ. ნანეიშვილი.

## სასახლის ბაღში

სექტემბრის 2-დან ოქტომბრის 10-დის გაიყიდება სასახლის ყვავილნარისთვის განსაკუთრებით ზედმეტად მიჩნეული ოთახის სხვა და სხვა მცენარე და ყვავილები. გაყიდვა მოხდება დილის 9 საათიდან 12 საათამდე და საღამოს 3 საათიდან 6-მდის.

1334 შესავალი ერმოლოვის ქუჩიდან.

ვაჟთა და ქალთა გიმნაზია

## ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.

ძხენ ახ. ქ. № 11

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მეცადინეობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. კანცელარია ღიაა საღამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელოებს. ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყება 2 ენკენისთვიდან.

2092 გიმნაზიის გამგე ს. ნ. შულგინი.

ტფილისი, სექტემბრის 25

ეს რამდენიმე ხანია ჩვენს გაზეთებში დიდი ლაპარაკია სურსათ-სანოვაგის და სასურსათო საკითხის გამო. როგორც მკითხველებს ეცოდინებათ, სასურსათო კრიზისის და მის ნიადაგზე წარმოშობილ ჩვენს დამოუკიდებლობის საწინააღმდეგო აგიტაციის თაობაზე ეროვნულ საბჭოშიაც არის შეტანილი შეკითხვა. მინისტრი ივ. ლორთქიფანიძე საბჭოს წინა კრებაზე შეჰპირდა: სასურსათო პოლიტიკის წარმოების გეგმას წარმოგიდგენთო. მართლაც, უტანელია დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა. ყოვლად შეუძლებელია სახელმწიფომ დიდხანს გასძლოს ამისთანა პირობებში. თითქმის ყოველი უკმაყოფილება და უნდობლობა ახალის მთავრობისადმი ფაბრიკატების და სურსათის ნაკლებლობით აიხსნება. წინად ყველაფერი გქონდათ, არაფერი შემოგვლევიათ როცა რუსეთთან იყავით, ეხლა კი ტანსაცმელი არა გაქვთ და საჭმელ-სასმელიო, ეუბნებიან ხალხს ჩვენი მტრები. მასსა ვერ გარკვეულა, ვერ გაუგია, რომ ყველაფერი ეს უბედურება ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის, მსოფლიო ომის და რუსულ „სოციალიზმის“ ბრალია, რომელმაც ისე დაც არეული ქვეყანა საბოლოოდ [illegible] საქმეს უღრესად პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. თუ ჩვენ ოდნავ მაინც შევსძელით რამენაირად პროდუქტების გაიაფება—მასსამი მთავრობა ნდობას მოიპოვებს და მისი სახელი განმტკიცდება. თორემ დღეს, როცა სასურსათო ორგანიზაციები ღვთისანაბარად არის მიტოვებული. როცა ათასგვარი ბოროტმოქმედება ხდება შიგ და ხალხი ამას კარგად ჰხედავს, როცა უმთავრესი რეგულიატორი ფასებისა—პური, ტფილისში, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი სავსეა პურით—შვიდრვა მანეთად ღირს გირვანქა, შეუძლებელია ხვალინდელ დღის სიმტკიცეზე ლაპარაკი. ამიტომ, ვიმეორებთ, სასურსათო საქმეს ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

რამდენადაც ვიცით, მთავრობის გეგმით სასურსათო სამინისტრო უნდა გაუქმდეს და სხვა დამოუკიდებელი ორგანიზაცია მოეწყოს. ჩვენს გაზეთში რამდენიმე წერილი იყო დაბეჭდილი, სადაც მკაცრად ვაკრიტიკებდით სასურსათო საქმის მოწყობას. აღნიშნული იყო, რომ მოთავეებს წარმოდგენაც კი არა აქვთ, თუ საიდან რა საქონლის შემოტანა შეიძლება და სამინისტროს მთავარ რწმუნებული თიანეთის მაზრაში აპირებს პურის შესყიდვას. სხვა და სხვა დაწესებულებანი, დახმარების მაგივრად, ერთმანეთს ექიშპებიან და ხელს უშლიან—საქმის საერთო ძალით გამოკეთების მაგიერ. არავინ იცის, სად რამდენი საქონელია საწყობებში, ვინ არის პასუხის მგებელი და სხვა. ამნაირ პირობებში სასურსათო სამინისტროს მთლად მოსპობა კი არაა საჭირო, არამედ მისი გაძლიერება და რეორგანიზაცია. ამ საქმეში ჩვენ მომხრენი ვართ სასტიკი ცენტრალიზაციისა. სასურსათო საქმე მოითხოვს უეჭველად საერთაშორისო პოლიტიკის წარმოებასაც და უეჭველია ამ საქმეს უბრალო ორგანიზაცია ვერ შესძლებს, სხვა და სხვა კონვენციების დადება მთავრობის საქმეა და არა რომელისამე კერძო, ავტონომიურ ორგანიზაციისა, თუნდ ამ ორგანიზაციას დიქტატურა ერქვას. ამიტომ ჩვენ მომხრენი ვართ სასურსათო სამინისტროს დაუქვემდებარდეს ყველა ორგანიზაცია, რომელსაც ასე თუ ისე, ეს საქმე ეხება და რაიმე საქონელი აქვს. ჩვენი ხსნა მხოლოდ ამ გზით შეიძლება, თორემ დღეს ყოველ საქონელს რომელსაც შეუძლიან რაიმე დახმარება გაგვიწიოს, მაგალითად, პურის კრიზისის და სიძვირის თავიდან აცილებაში—ათასი პატრონი ჰყავს. ძლიერ სამინისტროსთან უნდა არსებობდეს საუწყებათა-შორისო საბჭო სათათბირო ხმით. თუ ჩვენ ამ გზას არ დავადექით—შორს ვერ წავილთ.

ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ განზრახულია პურის მონოპოლიის შემოღება. ასეთი ზომის განხორციელება დღევანდელ პირობებში ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ რამდენისამე დღის შემდეგ უეჭველად დავიმშევით და განსაკუთრებით ქალაქებში დიდი უბედურება დატრიალდება. თუ ჯერ ეს ნაკლი, ზემოდ რომ გვქონდა ლაპარაკი, არ მოესპეთ—ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი ნაწილი მონოპოლიის გამო საშინელ მდგომარეობაში ჩავარდება. ამიტომ ჩვენი აზრი ასეთია: სასურსათო სამინისტრო უეჭველად უნდა არსებობდეს, რადგან საკუთარი საქონლით ვერ დავკმაყოფილდებით და დღევანდელ გართულებულ მდგომარეობაში საერთაშორისო სასურსათო პოლიტიკის წარმოება მოგვიხდება. სასურსათო სამინისტროს უნდა უხმოდ ეიორჩილებოდეს ყოველი ორგანიზაცია, რომელსაც რაიმე [illegible] აქვს ამ საქმესთან და უნდა მოხდეს სასტიკი რეგისტრაცია იმისა, რაცა აქვთ არსებულ ორგანიზაციებს. უნდა დაარსდეს აგრეთვე სასტიკი კანტროლი, რათა ხალხის ძვირფასი ქონება არ იკარგებოდეს. ვიმეორებთ, სასურსათო საქმე დღეს უდიდესი პოლიტიკური საკითხიცაა და ეროვნული საბჭო და მთავრობა მას სათანადო ყურადღებით უნდა მოეკცეს.

## ნარკვევი

რუსული საორშაბათო გაზეთი „ედინენიე“, რომლის კალთის ქვეშ მიმალულა ცნობილი რენეგატი ლევ. ყიფიანი (მაგრამ ვის ჯიბის ახლოს არ ყოფილა ეს ადამიანი?), ბევრსა სწერს საქართველოს შესახებ. ბ. სელიხანოვიჩი, მაგალითად, გვისაყვედურებს, რომ ჩვენ რუსებს ვსდევნით და ვაწარმოებთ არა გონების, არამედ გრძნობის პოლიტიკას. მაგრამ თვითონ გრძნობით დაბრმავებულა და უძლური ღვარძლიანობით შემდეგსა სწერს:

> როდის გათავდება და რით გათავდება მსოფლიოს ომი—არ ვიცით. რუსეთის განადგურება ეგრე ადვილი არაა. რუსეთი შემთხვევითი ნაშენობა არ ყოფილა. რუსეთი რომ არ ყოფილიყო, იგი უნდა შეგვექმნა. შეიძლება ამიერ-კავკასია ისევ რუსეთს დარჩეს. შესაძლებელია ტფილისში ჯარის სარდლად გახდეს რუსის გენერალი, რომელიც დღეს საქართველოდან გაწუდევნიათ. რა იქნება მაშინ? განწინდაწინვე არ ამართლებთ ქართველების დევნას და მათ საწინააღმდეგო რეპრესიებს?

საბრალო ავტორი! როგორ სიზმრებში ატარებს დროს?! და იმდენი თავხედობა შესწევს, რომ ამნაირი სიტყვების შემდეგ ჩვენ გვისაყვედურებს—გრძნობის პოლიტიკას აწარმოებთო. არა, ბატონებო, უკუაგდეთ თავს მოკატუნება და იქონიეთ ვაჟკაცობა, პირდაპირ სთქვით, რა გნებავთ. ჩვენ კარგად ვიცით, რა გნებავთ. იმდენად გულუბრყვილონი არა ვართ, რომ არ მივხვდეთ, ოღონდ გვინდა თქვენგან გავიგოთ ნუ გვაყურებიანებთ თქვენს საცოდაობას—უძლურ ორპირობას და საქართველოს რესპუბლიკის სიძულვილს, ხომ ჰხედავთ, ვერა ჰმალავთ. სამწუხაროდ, ვერაფრით გაწუგეშებთ: რუსის გენერალი ტფილისში ეს სიზმარია, თქვენთვის ტკბილი, ნეტარი, მაგრამ საბედნიეროდ მაინც სიზმარი. რატომ ვერ ჰხედავთ ამას? დაბრმავებულხართ!

## უკანასკნელი ცნობები

აწყური.

შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო პოლკ. კაკაბაძისაგან აწყურიდან: „აუარებელი ლტოლვილი ქართველობა, რომელნიც ტყე-ღრეში იმალებოდა მთხოვს უშუამდგომლო მთავრობის წინაშე, რომ მათი მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესებულ იქნეს და ნება მიეცეთ მათ თავის საშობლო კერას ახალციხე-ახალქალაქის მაზრაში დაუბრუნდნენ. ამ რაიონის სომეხი-ლტოლვილნი უზრუნველ ყოფილი არია, ვინაიდან ისინი ამერიკელ კომისრების მზრუნველობით სარგებლობენ. ქართველები კი იმუსრებიან შიმშილით, განსაკუთრებით სოფლების აგარისა და ტოლოშის ლტოლვილნი, რომელთაც ლტოლვის დროს ვერაფრის წამოღება ვერ მოუსწვრიათ“. დასასრულ პოლკ. კაკაბაძე სთხოვს მინისტრს შესაფერ და სწრაფ განკარგულების მოხდენას.

ყაზბეგი.

ყაზბეგის კომისარი დეპეშით სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს განკარგულების მოხდენას ყაზბეგში ფოსტა-ტელეგრაფის დაარსების შესახებ.

ო ს ე ბ ი.

ცხინვალიდან შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო მთავრობის რწმუნებულ კლდიაშვილისაგან: ოსების მეხუთე ეროვნულ საბჭოს პირველი სესიის კრებები დასრულდა. იარაღის აყრის შესახებ საბჭომ [illegible] ყველას იარაღი და იარაღის აყრაში საბჭო დაეხმაროს მთავრობას. საბჭომ შეიმუშავა და დაამტკიცა სათანადო ინსტრუქცია იარაღის აყრის შესახებ. აირჩიეს კომისია, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგება იარაღის აყრას, ამ საკითხის მოწესრიგებას და საქმის ხელმძღვანელობას, ამ საქმისთვის აგრეთვე საჭირო ხარჯთაღრიცხვა. საბჭომ აღნიშნა, რომ ოსეთში მშვიდობიანობის დამყარებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ აქამდის არ შემდგარა საკუთარი ადმინისტრატიული ერთეული და დაადგინა: ჩემი საშუალებით აღიძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა ამ საკითხის დაჩქარებით განხილვის შესახებ ისე, რომ საკითხის განხილვის დროს მოწვეულ იქნეს საბჭოს წარმომადგენელი. საბჭომ აგრეთვე დაადგინა შუამდგომლობა აღძრას ოსეთის სოფლის მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ და ამ წლიდანვე გაიხსნას ცხინვალში ოსებისთვის ერთი საშუალო სასწავლებელი სახალხო განათლების კრედიტები ოსების სკოლების შესახებ გადაიცეს ეროვნულ საბჭოს კულტურულ განმანათლებელ სექციის განკარგულებაში.

ბ ა ქ ო.

ადერბეიჯანელები ბაქოს თავიანთ რესპუბლიკის დედა-ქალაქად აცხადებენ, ხოლო ცუგმაიერის აზრით ეს საკითხი ცალკე გადასწყდება.

ნ ა ვ თ ი.

ბაქოდან ჩამოსულ გერმანელ ოფიცერის მოხსენების თანახმად ბაქოში ამ ჟამად რვა მილიონი ფუთი ნავთი და სხვა ნაწარმოებია დაგროვილი. ამბობენ, ტფილისი ამ დღეებში მიიღებს ნავთსა და ბენზინსაო.

დელეგაცია.

სექტემბრის 23-ს ბაქოს გაემგზავრა ავსტრია-უნგრეთის დელეგაცია ფრანკენშტეინის მეთაურობით.

ფონ-დერ-ჰოლცი.

ადერბეიჯანის რესპუბლიკასთან გერმანიის დიპლომატიურ წარმომადგენლად დაინიშნა ფონ-დერჰოლცი.

ნური ფაშა.

ამ ჟამად ნური ფაშა ბაქოში იმყოფება.

კასპიის ზღვა.

პროფესორ ცუგმაიერის ცნობის თანახმად კასპიის ზღვა ჯერ-ჯერობით ბოლშევიკების ხელშია. ოსმალეთს მხოლოდ 13 გემი იგდეს ხელთ.

## დეპეშა ბაქოდან.

საქართველოს გზათა მინისტრს და ადერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენელს ჯაფაროვს ადერბეიჯანის გზათა მინისტრი შემდეგს ატყობინებს: გაუწყებთ, რომ ადერბეიჯანის მთავრობა მზად არის თავის თავზე მიიღოს ჯულფა-ბაქოს რკინის გზის სალიკვიდაციო საქმე ტფილისში შემუშავებულ გეგმის მიხედვით, იმ პირობით კი, რომ აღნიშნული გზების თვითმართველობა ბაქოში იქმნას გადმოტანილი.

# ომის დეპეშები

### დასავლეთის ფრონტი

**ბერლინი.** 9—23. საღამოს ცნობა. ფრონტებზე ახალი არაფერი მომხდარა.

**პარიზი.** 9—23. საგულისხმო არაფერი მომხდარა მხოლოდ სენ-კვენტინის სამხრეთით ფრანგებმა უაზას მიაღწიეს ვენდეილსა და ტრავეზის შუა.

საჰაერო ბრძოლაში ფრანგმა ლეიტენანტმა კორისსონმა სექტემბრის 18-ს მტრის 2 ჰაეროპლანი ჩამოაგდო.

**ამერიკელების ცნობა.** 9—23. ვევრში ჩვენმა ნაწილებმა იერიში მიიტანეს მტრის ბანაკზე, 29 კაცი დაატყვევეს და 2 ტყვიის-მფრქვეველი იგდეს ხელთ. ვევრსა და ვოგეზებში მტრის 3 იერიში მოვიგერიეთ.

### აღმოსავლეთის ფრონტი

**პარიზი.** 9—23. მოკავშირეთა ბრწყინვალე მოქმედება მაკედონიაში დიდი გამარჯვების ხასიათს ღებულობს. ფრანგ-სერბიელთა სწრაფმა წინ-სვლამ შუა ვარდაოში მთელ ფრონტზე 150 კილომეტრის სივრცეზე მტრის დარბევა გამოიწვია. მონასტერის ჩრდილო-აღმოსავლეთით მოგილა-კანატ-ლარტსი-კალიანის ხაზს მიაღწიეს. ჩრდილოეთით სერბიელები მიდიან წინ. ბულგარელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ჩვენი დევნა თავიდან აიცდინონ. ბულგარელები იხევენ უწესრიგოდ, სტოვებენ უამრავ იარაღს, სურსათს და ტყვეებს. მოკავშირეთა ჯარმა ვარდარის რკ. გზაზე ხელთ იგდო 3 მატარებელი „ლოკომოტივებით“ სავსე და ორი შორსმსროლელი ზარბაზანი.

**სოფია.** ბიტოლის ჩრდილოეთით და ცრნოსთან ჩვენმა ნაწილებმა ცეცხლის საშუალებით გაჰფანტეს მტრის ბატალიონები, რომელნიც სცდილობდნენ ჩვენს პოზიციებს დაახლოვებულიყვნენ. მერიგოვოს რაიონში მტრის ძლიერი იერიშები მოვიგერიეთ. ცრნის აღმოსავლეთით ცხარე ბრძოლაა.

# ზავის გარშემო

**ბერლინი** 9—31. (ვოლფის სააგენტო) გენ.-ფელდმარშალმა ფონ-ჰინდენბურგმა შემდეგი ბრძანება გასცა ლაშქარში: „ავსტრია-ჰუნგრეთის მთავრობამ წინადადება მისცა ყველა მეომარ სახელმწიფოს ზავის მოსაახლოვებლად წარმომადგენლები გაგზავნონ ნეიტრალურ სახელმწიფოებში, სადაც ისინი ზავის წინასწარ, არა სავალდებულო პირობებს შეიმუშავებენ. ამ მოლაპარაკებამ არ უნდა შეაფერხოს საომარი მოქმედება. ზავის სურვილი და მისთვის მზად ყოფნა სრულებით არ ეწინააღმდეგება იმ დებულებას, რომ ჩვენ ჩვენი სამშობლოსათვის ვიბრძვით. ჯერ კიდევ 1916 წლის დეკემბერში ჩვენმა უზენაესმა, სამხედრო ხელმძღვანელმა — იმპერატორმა მოკავშირეებთან შეთანხმებით საზავო წინადადება მისცა მტერს, გერმანიის მთავრობა არა ერთხელ იყო მზად ზავი შეეკრა, მაგრამ ამის პასუხი მტრის ბანაკიდან იყო მხოლოდ დაცინვა. მოწინააღმდეგეთა მთავრობები აიძულებდნენ თავის ხალხს განეგრძოთ ომი. ახლა ჩვენმა მოკავშირემ, ავსტრია-ჰუნგრეთმა კვლავ მისცა მათ წინადადება. მიუხედავად ამისა ბრძოლა არ უნდა შესწყდეს, ე. ი. ლაშქარმა ძველივე წესით უნდა განაგრძოს ომი. გერმანიის ლაშქარმა, რომელიც 4 წლის განმავლობაში მუდამ იმარჯვებდა და ჩვენს სამშობლოს იცავდა, უნდა დაუმტკიცოს მტერს თავისი ძლევამოსილობა. მხოლოდ ამ რიგად საბოლოოდ ვსძლევთ ჩვენ მტერს. დათანხმდება თუ არა მტერი საზავო წინადადებაზე, სულ ერთია, მან მაინც უნდა გაიგოს, რომ ჩვენ არ დავთანხმდებით ჩვენი ერისთვის სამარცხვინო პირობებზე.

# უცხოეთი

**მოსკოვი** 9—20, რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთს შორის საფოსტო მიმოსვლა დაწესდა: იგზავნება უბრალო და შეკვეთილი წერილები და ღია ბარათები, საერთაშორისო საფოსტო წესების მიხედვით.

**კიევი** 9—21. უკრაინის გეტმანი სკოროპადსკი ბერლინიდან კიევში დაბრუნდა. უკრაინის საელჩოს საშუალებით მან შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ვილჰელმს: „იმ დროს, როდესაც გერმანიასა ვტოვებ, მე მსურს ულრმესი მადლობა გამოუცხადო თქვენს იმპერატორობით უმაღლესობას წრფელი მიღებისათვის და იმ დაუვიწყარ, ტკბილ შთაბეჭდილებისათვის, რომელიც აქ გამოვიტანე. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ძლიერ გერმანიის შემწეობით ნორჩი უკრაინა მშრომელ და ძლიერ სახელმწიფოდ იქცევა“.

უკრაინის გეტმანი პ. სკოროპადსკი.

მისმა იმპერატორობით უდიდებულესობამ, გერმანიის იმპერატორმა უკრაინის გეტმანს უპასუხა; „მადლობას უცხადებ თქვენს აღმატებულებას გუშინდელ დეპეშისათვის. მე მოხარული ვარ რომ თქვენზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა აქ ყოფნამ და რომ დარწმუნდით იმაში, რომ გერმანია დიდის ინტერესითა და სიმპატიით ეპყრობა უკრაინის აყვავებასა და აღორძინებას.

ვილჰელმი.

**მადრიდი.** 9—23. მინისტრთა საბჭომ განიხილა (ისპანიის) ნახევარ კუნძულზე სანიტარული მდგომარეობა და დაადგინა: დაუყოვნებლივ დაიხუროს საფრანგეთის საზღვარი, რადგან იქ სახადი მძვინვარებს.

**მოსკოვი.** 9—22 „იზვესტია“ შემდეგ დაწვრილებითი ცნობებს გადმოგვცემს ყოფილ მეფის ნიკოლოზის დაკრძალვის შესახებ ეკატერინბურგში:

„ექს მეფის გვამი, რომელიც ტყეში იყო დამარხული, ამოიღეს საფლავიდან მცოდნე პირთა დახმარებით. გვამი ამოიღეს დასავლეთ ციმბირის სასულიერო პირების, სახალხო გვარდიის და სხვათა თანადასწრებით გვამი ჯერ „ცინკის“ კუბოში ჩასდეს, და ეს უკანასკნელი კი ძვირფას კუბოში. საპატიო ყარაულის მცველობით მიცვალებული ეკატერინბურგის ტაძარში დაასვენეს. აქედან მას ომსკში წაიღებენ საგანგებო აკლდამაში დასაკრძალავად.

**მოსკოვი, ტაშკენტიდან.** 9—23. სახკომ საბჭოს. ჩვენ ორი ფრონტი გვაქვს: ორენბურგის და ასხაბადის. ერთსა და იმავე დროს არ შეგვიძლია ორივე ფრონტზე შეტევა ვაწარმოოთ: ერთზე შეგვიძლია შეტევით ომის წარმოება, მეორეზე მოგერიებით ომისა. გვაცნობეთ როგორია მდგომარეობა კავკასიაში და ამიერ-კავკასიის კუთხეში და საბჭოთა ჯარის მდგომარეობა სამარის, სიზრანის, უფისა და ურალის მიმართულებით, რათა შეძლება მოგვცეს გავითვალისწინოთ რომელ ფრონტზე დავიწყოთ შეტევა.

თურქესტანის რესპუბლიკის სახ. კომ. თავმჯდომარე: კოლესოვი.

# ახალი ამბავი

◆ **ტელეგრაფი ბაქოსა და ტფილისს** შუა. უკვე აღდგენილია ბაქოსთან სატელეგრაფო დამოკიდებულება და სასწრაფო მუშაობა სწარმოებს ნავთ-სადენის შესასწორებლად.

◆ **გაძარცვა.** სექტემბრის 22-ს ღამით „დეზერტირების ბაზარში“ სიმონ ფაეკაძეს თავს დაესხნენ უცნობი მძარცველები და წაართვეს 11,000 მანეთი. მძარცველები მიიმალნენ

◆ **ბათომში.** ამ დღეებში ტფილისიდან ბათომს მიემგზავრება გიორგი მახარაძე რომელიც შეასრულებს პატარა დავალებებს.

◆ **ოსმალთა დიპლომატიური წარმომადგენელი.** როგორც იუწყებიან ერევანში უკვე ჩასულა ოსმალეთის დიპლომატიური წარმომადგენელი მაჰმედალი ფაშა. მის პატივ-საცემად სომხებს დიდი ბანკეტი გადაუხდიათ.

◆ **ბაქოში.** ავსტრიის დელეგაციამ ელჩად კაპიტანი ბენედექტი დანიშნა.

◆ **ტფილისის არჩევნები.** ტფ. ქალაქის გამგეობას მოხსენება შეაქვს ქალაქის საბჭოში, რომ ტფილისი მოემზადოს ხმოსანთა არჩევნებისათვის, ვინაიდან ძველ ხმოსნებს იანვრის 1-დან უთავდებათ ვადა.

◆ **სასმელი წყალი.** ტფილ. წყალსადენის წყალი ბაქტეროლოგიურად შეამოწმეს და აღმოჩნდა რომ წყალში არავითარი ავადმყოფობის ბაცილები არ არის.

◆ **დატუსაღება.** საგანგებო რაზმმა დაატუსაღა გ. მატინოვი და უშაკოვი პროვოკაციისა და კონტრ-რევოლიუციონერობისათვის

◆ **ქართული სამუსიკო საზოგადოება.** ამ მოკლე ხანში ქართ. სამუსიკო საზოგადოების გამგეობა გამართავს 5 კონცერტს: ქართულ, გერმანულ, ფრანგულ და რუსულ მუსიკისას.

◆ **სამხედრო მინისტრის წასვლა.** სამხედრო მინისტრი ქუთაისის გუბერნიაში გაემგზავრა იქაურ ჯარების და სამხედრო დაწესებულებათა პირადად დასათვალიერებლად. მინისტრის თანამდებობის ასრულება დაევალა მის ამხანაგს გენერალ გედევანიშვილს.

◆ **ხონის სასულიერო სემინარიაში** მეცადინეობა დაიწყება ამა წლის პირველ ოქტომბერს.

◆ **სატერმინოლოგიო სექცია.** ხუთშაბათს, საღამოს 8 საათზედ, მელიქიშვილის საავადმყოფოში, ქსენიას ქ. № 7, დანიშნულია ქართველ ექიმთა საზოგადოებასთან არსებული ტერმინოლოგიური სექციის კრება. განხილულ იქნება საანატომიო ტერმინები. თავმჯდომარე სთხოვს სექციის წევრებს და აგრეთვე ყველას, ვისაც კი ეინტერესება ეს საკითხი, დაესწროს. ექ. ივ. თიკანაძე.

◆ **პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში** სწავლა დაიწყება დღეს საღამოს 5 საათზე სამხატვრო საზოგადოების დარბაზში. შესავალ ლექციას წაიკითხავს პროფესორი მაქსიმოვი.

◆ **გაქურდვა.** მიხეილის ქუჩაზე მცხოვრებმა ივ. ქამოევმა სამსახურიდან დაბრუნებისას შეამჩნია, რომ მისი ბინა გაუქურდავთ, წაუღიათ 10000 მანეთი ფული და 12000 მანეთად ღირებული ფასიანი ნივთები.

◆ **შუამდგომლობა.** [illegible] მილიციის უფროსმა [illegible] მინისტრს: აღძრით მთავრობის წინაშე შუამდგომლობა დამიბრუნდეს წინანდელი უფლება, რომ ჩემს დარგში დამნაშავე სამი თვით ციხეში დამწყვდებით დავსაჯო.

◆ **ასკერანში.** მიღებულ კერძო ცნობებით ასკერანში ადგილობრივ თათრებს სომხებზე თავდასხმა და ბრძოლა დაუწყიათ.

◆ **სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში მუშათა გაფიცვის გამო** რ. გაბაშვილმა ეროვნულ საბჭოს მუშათა კომისიაში დასაკანონებლად შემდეგი წინადადება შეიტანა: 1) რკინის გზებსა და მასთან დაკავშირებულ წარმოებათა და სხვა სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის დარგებში აკრძალულია მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა, 2) ყველა გაფიცული აღნიშნულ დარგებში დაისჯება, როგორც დამნაშავე სახელმწიფოს წინაშე, 3) მინისტრთა საბჭო შეიმუშავებს აღნიშნულ დარგთა ადმინისტრაციისათვის საჭირო ინსტრუქციებს.

სექტემბრის 23-ს ზემოხსენებული საკანონმდებლო წინადადება ბ-ნ გაბაშვილისა განიხილა ეროვნულ საბჭოს მუშათა კომისიამ და ერთხმად უარყო.

◆ **რუსული გაზეთები და ჩვენი დამოუკიდებლობა.** ზოგიერთი რუსული გაზეთები, რომელნიც მუდამ რუსეთის სახელით გვებრძვიან, არც კი აღნიშნავენ ცნობად მაინც, რომ რუსეთმა და გერმანიამ საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარეს. ასე მოიქცა მაგალითად „სოციალ-დემოკრატი“ და „ედინენიე“.

◆ **კონკურსი.** ამ ახლო მომავალში ქართ. სამუსიკო საზოგადოების გამგეობა გამოაცხადებს ქართულ კვარტეტის დაწერის კონკურსს (ვიოლინო I, II, ალტი, ვიოლონჩელი) ოთხ სიმებიან დასაკრავებისათვის.

◆ **გ. ვახტანგიშვილის საქმე.** მესამე მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია სცენის მოყვარის გიორგი ვახტანგიშვილის საქმე და გაანთავისუფლა იგი, რადგან დამნაშავე არ აღმოჩნდა. მას აბრალებდნენ მაუდის სუფრის და 150 მანეთი ფულის გატაცებას.

◆ **ქართულ-გერმანულ საზოგადოების** გამგეობის სხდომა შესდგება ოთხშაბათს, 25 ენკენისთვეს, საღამოს სრულ 8 საათზე, ფრეილინის ქ. № 11. წევრთა დასწრება სავალდებულოა.

◆ **უბედური შემთხვევა.** სექტემბრის 21-ს მილიციელს მ. ფედოტოვს შემთხვევით რევოლვერი გაუვარდა და მოჰკლა ეკატერინე ორმიზოვი.

# სამ. ფირცხალავას მოხსენება

## მომენტსა და ტაქტიკაზე

(მთავ. კომიტ.)

მაისის 26 მთელი ქართველი ერის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის დატაა. იგი გარდაუვალს საზღვარსა სდებს ყოფილსა და აწმყოს შორის. ამ დღიდან იწყება ახალი ხანა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისა და, როგორადაც უნდა შეტრიალდეს ბედი, როგორი მიმდინარეობაც უნდა მიიღოს მსოფლიო ამბების განვითარებამ, სამარადისოდ წარუშლელი იქნება ამ ოთხი თვის წინად მომხდარ აქტის კვალი საქართველოს აღდგენისა და აღორძინებისათვის.

თავისუფალი საქართველო, ქართველი ერი თავის თავს ეკუთვნის, თვით არის თავის ცხოვრების გამომჭედელი! ეს მთა, ეს ველი, ეს ქალაქი, სოფელი, მდინარე, დაწესებულება ქართველ ხალხს ეკუთვნის, ყველგან მისი სული ტრიალებს და აღარ ესაჭიროება ყოველი ფეხის გადადგმისათვის სხვისი, გარეშეს ნებართვა! ეს გრძნობა სიცოცხლისა, საკუთარის არსებობისა, რომელიც ჯერ კიდევ სავსებით ვერ შეგვიგუებია და განგვიცდია, უდიდესი ბედნიერებაა, რომელიც კი შეიძლება ეღირსოს ადამიანს. ჩვენ ვართ და არა თუ ვართ, ვიყავით, ვიქნებით — ეს გამთელებაა დაშლილის ეროვნულის სხეულისა, აღდგომაა, ხელახალი დაბადება ერისა, რომელიც მრავალ წელთა განმავლობაში მხოლოდ პოტენციალურად არსებობდა და თითქმის მოკლებული იყო ყოველს სინამდვილეს.

იყო დრო, როცა ქართველობისათვის სანატრელი იყო სულ უბრალო ერობა დღეს კი ქართველი ერი სრულიად დამოუკიდებელია და შეუძლია მ[illegible]აწყოს თავისი ბედი, როგორც უჯობს, როგორც უკეთ შეეფერება მის საჭიროებას და თავისუფალი სარბიელი მისცეს ყოველს თავის ძალას და ნიჭსა. უნდა აღსდგეს და ამოძრავდეს მთელი ის ენერგია, რომელიც ჩვენი მოდგმის ათას წელთა თავგადასავალს დაუგროვებია ქართველ ერში, კვლავ უნდა გაიფურჩქნოს და გაიშალოს ის მდიდარი კულტურა, რომელიც საუკუნეთა სივრცეზე შეუქმნიათ და გადმოუციათ ჩვენთვის ჩვენს წინაპრებს და ძველებს. უნდა ამოქმედდეს ჩვენი მრავალფეროვანის და უხვის მამულის წიაღში, აღზრდილის და ბრძოლათა შიგან გამობრძმედილის სულის ყოველი კუნჭული. აქაა დიადი ღირებულება ეროვნული თავისუფლებისა, ეროვნული არსებობისა და ესაა უმტკიცესი თავდები იმისა, რომ თავისუფალ საქართველოში ქართველის განვითარება მიახწევს სისრულეს და მოიპოვებს უაღრეს წარმატებას ქონებრივს და გონებრივს და შეიქნება ღირსეული წევრი მთელი დედამიწის საკაცობრიო ოჯახისა!

ასეთია მოკლედ მაისის 26-ის მნიშვნელობა საერთოდ ჩვენი ეროვნული არსებობისათვის. მაგრამ ამ დღემ ძირიანად შესცვალა კერძოდ ყოველი დარგი ჩვენის ცხოვრებისა, ჩვენი საზოგადოებრიობის, პოლიტიკური მოღვაწეობის, კულტურის, ხელოვნების, ვაჭრობა და წარმოების და ყველაფრის გეგმა და ხაზი ხელახლად უნდა გადასინჯულ იქნეს, შესწორდეს, შეიცვალოს. რაც გამოსადეგი იყო რუსეთის პროვინციაში, უვარგისია დამოუკიდებელ საქართველოში; რაც დასაწუნი იყო გუშინ, შეიძლება სასურველი იყოს დღეს, რაც ბრძოლას და ქიშპობას იწვევდა, შეიძლება იგი ეხლა შეიქმნეს შემაერთებელ და შემათანხმებელ ძალად.

უეჭველია, ამ საერთო ცვლილებას და გავლენას ვერ ასცდებოდა ჩვენი პარტიული მუშაობაც ჩვენი პროგრამის საფუძვლები შეურყეველია. ამ საფუძვლების სიმართლემ და სინამდვილემ ბევრი [illegible] და განსაცდელისაგან დაგვიცვა წინად, როცა მცირე რიცხოვანი პარტია ვიყავით, ან სათანადო სიმხნევეს ვერ ვიჩენდით და გარშემო უთვალავი მტერი და მოწინააღმდეგე გვყავდა, რომელიც არავითარს საშუალებას არ ერიდებოდა ჩვენს დასამხობად. ჩვენი პროგრამის იდეების სიმტკიცე იყო ჩვენი უდიდესი საფარი და უძლავრესი იარაღი, ისინი ხშირად თვით თავის შინაგანის ღირსებით იკაფავდენ გზას და ჰპოულობდენ ნიადაგს. ისინი გაუმკლავდნენ რეაქციის ბნელ ძალას, ჰაობს და ციხეს. გადაიტანეს რევოლიუციის ცეცხლი, გუძლეს ყოველგვარ ბრძოლას და გამარჯვებულნი მოგვიძღვნენ თავისუფალ საქართველოში. დღეს მხოლოდ მეტი ნდობა, მეტი სიყვარული გვმართებს ამ იდეების, მეტი თავდადება ჩვენი პროგრამის სახელმძღვანელო აზრების განსახორციელებლად. ჭეშმარიტად, თუ რომელსამე პოლიტიკურ პარტიას შეუძლია იამაყოს თავის პროგრამის სიმტკიცით, ეს ყოველს უწინარეს საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიას, რომლის პოლიტიკური გეგმის განამდვილებაა დღევანდელი დამოუკიდებელი საქართველო!

ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მხოლოდ ჩვენი პროგრამის ზოგიერთი დეტალის შესწორების შესახებ, შეგვიძლია ვილაპარაკოთ, თუ როგორი საუმჯობესო გზა და საშუალება გამოვნახოთ ახალი ვითარების მიხედვით ჩვენი პროგრამის მოთხოვნილებათა ცხოვრებაში გასატარებლად და განსახორციელებლად, ჩვენი პოზიციის გასამაგრებლად როგორც სადღეისოდ, ისე სამერმისოდ. ჩვენი მოვალეობაა ნათლად გავითვალისწინოთ საქართველოს აწინდელი ვითარება და ჩვენი მდგომარეობა და ამასთან შეფარდებით შევიმუშაოთ ჩვენი პრაქტიკული მუშაობის გეგმა.

თუ ოდნავად თვალს გადავავლებთ ჩვენი პარტიის წინანდელს მდგომარეობას, უეჭველად შევამჩნევთ ერთს ძირით და დამახასიათებელ თვისებას. წინად ჩვენ ვიყავით ოპოზიციონური პარტია, რომლის უმთავრესი დანიშნულება იყო ბრძოლა მაშინდელ წესწყობილებასთან, დანგრევა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ურთიერთობისა, შემუსვრა მონობის ბორკილებისა რომლებიც ახშობდნენ ჩვენი ხალხის ყოველნაირ დაწინაურებას. ასეთი იყო ჩვენი მდგომარეობა მაშინ, როდესაც რუსეთის რეაქციის წყალობით ჩვენ, როგორც სხვა პარტიები, ჯურღმულებსა და სარდაფებში ვიყავით მომწყვდეულნი და მთელს ჩვენს მოღვაწეობას არალეგალური, ფარული ხასიათი ჰქონდა. ასეთი იყო მაშინაც, როდესაც დიდმა რევოლიუციამ დაამსხვრია ძველი რუსეთი, მაგრამ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას სათავეში მოექცნენ პარტიები, რომელთაც მიუღებლად მიაჩნდათ ჩვენი პოლიტიკური—ეროვნული პროგრამის განხორციელება. რევოლიუციის დღეებშიაც ვიბრძოდით გაბატონებულ წესების წინააღმდეგ, ვიბრძოდით სახელმწიფოებრივ ცენტრალიზმის წინააღმდეგ, მოვითხოვდით ერების განთავისუფლებას და მათ ფედერაციას, რადგან ეს იყო ერთად ერთი გზა სახელმწიფოს სიმკვიდრისა. რევოლიუციის დღესაც დევნილნი ვიყავით, მისთვის, რომ ქართველი ხალხის შელახულ უფლებათა აღდგენას მოვითხოვდით, და ჩვენს მოღვაწეობას არსებითად მოწინააღმდეგობის, ოპოზიციის მიმართულება ჰქონდა. მართალია, წინად რევოლიუციამდე და შემდეგაც საოპოზიციო მოღვაწეობასთან ერთად დადებითს საქმესაც ვაწარმოებდით, შეგვქონდა ხალხში ეროვნული და სოციალური შეგნება, ვქმნიდით ორგანიზაციებს, რომელნიც გაადვილებდნენ ახალ ცხოვრების მოწყობას. მაგრამ ჩვენი წინანდელი მუშაობა ყოვლის უწინარეს იყო არა შექმნა, აშენება, რისიმე დამკვიდრება, არამედ ბრძოლა, დანგრევა იმის, რაც იყო, რაც არსებობდა.

დღეს კი ჩვენი მდგომარეობა სულ სხვანაირია. საქართველოს დამოუკიდებლობით განხორციელდა ჩვენი პოლიტიკურ-ეროვნული მოთხოვნილების მთავარი მუხლი და ჩვენთვის შეიქნა ახალი ნიადაგი არა ბრძოლისა და წინააღმდეგობისა, არამედ აღმშენებლობისა. დღეს ჩვენ კი არ უნდა ვებრძოდეთ იმას, რაც არსებობს, კი არ უნდა ვცდილობდეთ მის დანგრევას, არამედ ყოველი ჩვენი ფიქრი და მოქმედება იმისკენ უნდა მიიმართოს, რომ ეხლანდელი წყობილება, ე. ი. განთავისუფლებული საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობა რაც შეიძლება განმტკიცდეს, ფეხი მოიმაგროს და მეტი ნდობა მოიპოვოს, როგორც შიგნით, ისე გარედ. ქართველი ხალხის ეროვნულ მისწრაფების საუკეთესო გამომხატველი ჩვენი პარტია იყო, ყოველთვის თავდადებით და მედგრად ვიბრძოდით ჩვენი ეროვნული თავისუფლებისათვის: ჩვენ ვიყავით თითქმის ერთად ერთი ჭირისუფალნი ქართველი ერის უბედურობის ჟამს, და ვინ უნდა იყოს დღეს განთავისუფლებული ერის მდგომარეობის განმტკიცებელი, თუ არა ჩვენ! ვინ უნდა იყოს ფხიზელი დარაჯი საქართველოს რესპუბლიკის, თუ არა ჩვენი პარტია, რომლის დროშაზე თავიდანვე იყო აღბეჭდილი შეერთებულად ეროვნება და სოციალიზმი?

უდიდესი საალმშენებლო და შემოქმედებითი მუშაობა დაგვაკისრა ისტორიამ. ნამცეცი შრომისა, ყოველი წვეთი ოფლისა უნდა მიუმატოთ ერთმანეთს, რომ მტკიცე საძირკველი ჩაუგდოთ ჩვენს ნორჩს რესპუბლიკას და ავაგოთ მკვიდრი შენობა. მართალია, ამ აღმშენებლობის დროსაც ჩვენი მუშაობა არ შეიძლება იყოს ცალმხრივი, დღესაც გვიხდება ბრძოლა სხვა და სხვა დაბრკოლებასთან, გვიხდება ხანდახან ოპოზიციაში ყოფნა, წინააღმდეგობა, კრიტიკის წარმოება, ვინაიდან უმრავლესობა როგორც ეროვნულ საბჭოში, ისე მთავრობაში ეკუთვნის სხვა პარტიას, მაგრამ არსებითად ჩვენი მუშაობა დღეს დადებითია, აღმშენებლითია, ისე, როგორც

◆ **რაჭული სალამოს გამო,** რომელიც იმართება ევგ. დვალის მიერ სახ. სახლში სექტემბრის 26-ს ტფილისში არსებულ რაჭველ-ლეჩხუმელთა დამხმარე საზოგადოების მთავარი გამგეობა ამით აცხადებს, რომ ეს კერძო სალამოა და საზოგადოებას არც მის მოწყობაში და არც შემოსავალში არაფერი წილი უდევს.

◆ **აფთიაქართა შორის.** კვირას, სექტემბრის 21-ს, აფთიაქართა კოოპერატივ „ზაკოს" სადგომში მოხდა კოოპერატივის წევრთა კრება, სადაც არჩეულ იქმნა კომისია გერმანიაში გასაგზავნად მედიკამენტების და ქიმიურ-ფარმაცევტიული ლაბორატორიის მოსაწყობი მანქანების შესაძენად. კომისიაში არჩეულ იქმნენ: კოოპერატივის გამგე და აფთიაქართა კავშირის თავმჯდომარე გიორგი ჯანელიძე, პროვიზორი მიხეილ ჩხეიძე და პროვიზორი გეინი.

◆ **ახალი წიგნები.** გამოვიდა სახელმძღვანელოები: „ორგანიული ბუნება, ზოოლოგია" მ. ზაალიშვილისა, ფასი 5 მან. „საქართველოს ეკლესიის ისტორია" ივ. ნიკოლაძისა, ფასი 5 მან. და „საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია" დეკ. მელ. კელენჯერიძისა, ფასი 4 მ. 10 შაური.

◆ **ფულის მიღება.** რედაქცია ადასტურებს, რომ თომა ჩიქვანიასაგან შემოტანილია 268 მანეთი ქართული უნივერსიტეტის და თეატრის სასარგებლოდ, ამთ შორის 1508 მანეთი შეგროვილია ... არდასაში ბერძენთა შორის და 168 მანეთი კი პირველ პრაპორშჩიკთა ტფილისის შკოლაში.

◆ **ეროვნულ დემოკრატიულ პარტიაში.** როგორც მკითხველმა იცის ერ.-დ. პარტიაში განხეთქილება მოხდა და ორ ნაწილად გაიყო. ერთმა ნაწილმა ყოველკვირეული გაზ. „კლდე" დაარსა ხოლო მეორემ განაახლა გაზ. „საქართველოს" გამოცემა. პირველი ნომერი უკანასკნელისა გამოვიდა გუშინ.

◆ **ხოლერა.** უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში ქალ. საავადმყოფოში მოათავსეს 14 ხოლერიანი და 10 საეჭვო ავადმყოფი. მორჩა 30, გარდაიცვალა 19. სექტემბრის 23-ს სულ იყო 92 ხოლერიანი და 12 ხოლერის ნიშნებით ავადმყოფი.

უკანასკნელ დღეებში ხოლერით ნაკლები რიცხვი კვდება, მორჩენილთა პროცენტი კი გაიზარდა.

◆ **წამლის გაძვირება.** მოსამსახურეთა ახალი მოთხოვნილების წარდგენის და სპეკულიანტებისაგან საქონლის გაძვირების გამო ტფილისის აფთიაქებმა მიმართეს მთავრობას, რომ შეცვლილ იქმნეს საფთიაქო ტაქსა, სადაც აფთიაქების ჩვენებით და ბოლოს კომისიის დასტურითაც წამალი უფრო იაფი ღირს ვინემ ბირჟაზე. ამის გამო მთავრობამ დანიშნა განსაკუთრებული კომისია ახალი ტაქ ის შესამუშავებლად, სადაც მთავრობის მხრით დანიშნულია ფარმაციის მაგისტრი კუპცისი, პროვიზორი ილია ალხაზაშვილი და კარაპეტიანცი, აფთიაკრებიდან; აფთიაქარი ბრიდო და ჩხეიძე.

◆ **ელექტრონის ენერგიისათვის.** ქალაქის მართველობამ სპეციალური კომისია შეადგინა, რომელსაც დაევალა შეაგროვოს მასალები მდ. არაგვსა და ხრამზე ჰიდრავლიურ სადგურების მოსაწყობად, რომ ქალაქს აქედან ელექტრონის ენერგია მიაწოდონ.

◆ **ტყვე ინგლისელები.** სექტემბრის 23-ს ოსმალო ოფიცერთა და ასკერების თანხლებით ტფილისში ჩამოიყვანეს პირველი წყება ტყვე ინგლისელებისა, რომელნიც ბაქოში დაატყვევეს. ამ ჟამად განჯაში 100 ტყვე ინგლისელი იმყოფება.

◆ **თვითმკვლელობა.** სექტემბრის 22 სასტუმრო „სოიუზის" ფანჯრიდან გადავარდა და სასიკვდილოდ დაშავდა მარიამ გალკინის ქალი. იგი მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

◆ **დაჯარიმება.** სანოვაგის ნიხრის ზევით გაყიდვისათვის დაჯარიმებულ იქმნენ: მ. გულიაშვილი 200 მანეთით და გ. მერსეროვი 300 მანეთით.

◆ **დატუსაღება.** გარნიზონის უფროსმა უწესოებისათვის თითო თვით დაატუსაღა ი. მაკარენკო და მარიამ სპირიდონოვისა.

◆ **ხოლერა.** სექტემბრის 23-ს ქალაქის საავადმყოფოში მიიყვანეს 3 ხოლერიანი.

◆ **აქციზი ღვინოზე.** ფინანსთა სამინისტრომ საჭიროდ სცნო აქციზი დააწესოს ღვინოზე, არა მხოლოდ ქალაქებში არამედ იმ ადგილებშიაც, სადაც ღვინო არ კეთდება. ამით ხაზინის შემოსავალი აქციზიდან 29 მილიონ მანეთს აღწევს.

◆ **ვაჭარ ნარსიას შეპყრობა.** სურსათის მინისტრის განკარგულებით დაატუსაღეს ქუთაისის ცნობილი ვაჭარი ნარსია, რომელსაც ქუთაისის სასურსათო კომიტეტთან ხელშეკრულება ჰქონდა დადებული. 2 ვაგონი შაქარი უნდა გაეტანა ადერბეიჯანში და მის ნაცვლად პური შემოეტანა. ნარსიამ შაქარი წაიღო, ხოლო პური კი არ შემოუტანია სამინისტროს ცნობები აქვს, რომ ნარსიამ შაქარი გაჰყიდა სპეკულიატიურ ფასებში, საქმე გადაეცა პროკურორს.

◆ **ჩაისა და შაქრის დაჭერა.** შინაგან საქმესთან არსებულმა საგანგებო რაზმმა ტფილისის სადგურზე დაიჭირა 850 ფუთი შაქარი, 7 ფუთი ჩაი, 82 ფუთი სხვა და სხვა პირველ საჭიროების საგნები.

◆ **თამბაქოს ქარხანა.** ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირის გამგეობამ ალ. ახმეტელის მოხსენების თანახმად დაადგინა: გახსნას ტფილისში თამბაქოს ქარხანა. გამგეობამ ამ საქმისათვის მოსაწყობად აირჩია კომისია, რომელსაც დაავალა სააქციონერო საზოგადოების დაარსება. აღნიშნულ საზოგადოებას ძირითად თანხად სამი მილიონი მანეთი ექნება.

◆ **დუშეთის ქალაქის თავს** ამხ. ალ. ინაშვილს ერობის შემოღების ინსტრუქტორმა მიანდო დუშეთის და თიანეთის მაზრებში ერობის მომწყობ კომიტეტების დაარსება.

◆ **ქართ. სამუსიკო საზოგადოებაში** ქართულ სამუსიკო საზოგადოების გამგეობამ დაადგინა: გამოაცხადოს კონკურსი კვარტეტისა (ვიოლინს I, II ალტი და ჩელო), რომელიც დაწერილი უნდა იყოს მხოლოთ ქართულ მუსიკით. პირველ პრემიად ინიშნება 1500 მან., 2—1000 მან. და 3—800 მ. თანახმად განათლების სამინისტროს დადგენილებისა ქართული მუსიკალური სკოლა ამ დღეებში გადადის დედათა ინსტიტუტის შენობაში, რომელშიაც იმყოფება სპეციალურად მოწყობილი სამუსიკო ოთახები საკონცერტო დარბაზით.

◆ **სეირნობა,** ამ ახლო ხანში სოც.-ფედერალისტთა პარტიის სასარგებლოდ იმართება სეირნობა. გთხოვთ ამხანაგ წევრებს შემოსწიროთ ნივთები ანუ ფულად. შემოწირულება მიიღება პარტიულ ბიუროში მორიგ ქალთან ელენე სულხანიშვილთან სალ. 6 საათ

## სოფლად და ქალაქად

**ფოთი.**

როგორც გავიგეთ, ტფილიში ქალაქს შეუძენია მავთული, „ლამპოჩკები" და სხვა მოწყობილობანი ელექტრონის განათებისათვის.

ქალაქის ინჟინრად დანიშნულია ინჟინერი მგელაძე, რომელსაც ამ დღეებში მოელიან ფოთში.

ქალაქის საავადმყოფოს რემონტი უკვე დამთავრებულია და ამ მოკლე ხანში გაიხსნება. ეს პირველ საავადმყოფოა ქალაქის.

სასკოლო კომისია შეუდგა სკოლების გაფართოებას, ამ წლიდან გაიხსნება ერთი პირველ დაწყებითი (სასწავლებელი).

შედგა კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ნავთსადგურში დაგროვილ უპატრონო ქონებას განაღდება, რომლის შემოსავლიდან უნდა გაკეთეს ხიდი.

◆ ქალაქმა შეიძინა ყინვის საკეთებელი მანქანა, რომელიც მოკლე ხანში მოეწყობა და იმედია ამის მერე არ განმეორდება ავადმყოფების სიკვდილი უყინულობის გამო

## საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

**მუშათა კავშირის კრება.** ოთხშაბათს, სექტემბრის 25 სალ. 6 საათზე, დანიშნულია ტფილისის სოც.-ფედერალისტ მუშათა კავშირის გამგეობის კრება. განსახილველია საყურადღებო საკითხები. კრებას დაესწრებიან ქუთაისის მუშათა კავშირის გამგეობის წევრები. ამხანაგებს ვსთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

**ქალთა კრება.** ამხ. ქალებს ვსთხოვთ, ვინც სეირნობის მოწყობაში მონაწილეობას იღებს, გამოცხადდნენ ოთხშაბათს, სექტემბრის 25 ს, საღამოს 6 საათზე პარტიულ ბიუროში.

ტფილისის კომიტეტის კრება დანიშნულია ოთხშაბათს, სექტემბრის 25-ს საღამოს 6 საათ. განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები. კომიტეტის წევრებს ვსთხოვთ აუცილებლივ გამოცხადდნენ

## თეატრი და მუსიკა

**ზაქ. ფალიაშვილის ოპერა.**

ცნობილმა კომპოზიტორმა ზაქ. ფალიაშვილმა თავისი ქართული ოპერა „აბესალომ და ეთერი" 5 მოქმედებად და 6 სურათად უკვე დაამთავრა სრულიად. ამ რამდენიმე ხნის წინად გადაეცია კომისიისათვის გადასაშინჯად. კომისიას, რომელიც შესდგებოდა ტფილისში მყოფ მუსიკოსებისგან და მცოდნე პირთაგან (პროფ. ჩერეპნინი, სავინსკი, ლევიცკი, მელ. ბალანჩივაძე და სხვა). მოსწონებია როგორც მეტად ხელოვნური მუსიკალური და ამასთანავე ეროვნული ხასიათის ნაწარმოები.

მიმდინარე სეზონში სახელმწიფო თეატრში დასადგმელად დირექციამ მიიღო ეს ოპერა და შეუდგა წინასწარ მუშაობას ავტორის ხელმძღვანელობით. მზადდება აგრეთვე ახალი დეკორაციები. რადგანაც ოპერა დიდია და მოითხოვს რთულ მუშაობას პირველად წარმოდგენილი იქნება მხოლოდ იანვრის დასაწყისში.

## ჟურნალისტის დღიური

**8.**

**გერბი და ჰიმნი.**

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დიდის უმრავლესობით გადასწყვიტა საქართველოს სახელმწიფოებრივ გერბად აღიაროს თეთრი გიორგი შავიდ მნათობით. ქართველი ხალხის აზროვნებაში თეთრი გიორგი ღარიბებს, ქვრივობოლისა და საზოგადოდ ჩაგრული ხალხის მოსარჩლე გმირია, იგი ებრძვის ბოროტს სულს — გველეშაპს და უწყვეტ... ნავს კიდეც ჩაგრულთა ... საკეთილდღეოდ.

გარდა ამისა, უხსოვარ დროიდან სხვა ერები ჩვენს ქვეყანას სახელი სწორედ ამ თეთრი გიორგის მიხედვით უწოდებს „გეორგია", „ჰიორჯიენ", „გურჯი", — ყველა ეს და მრავალი სხვა სახელი საქართველოსი გიორგისაგან წარმოსდგება.

ეხლა მხატვრების ფანტაზიაზეა დამოკიდებული, როგორ გარეგნულ გამოხატულებას მისცემენ თეთრ გიორგის და როგორ ჩააქსოვენ სურათში იმ დედააზრს, რომელიც თვით ხალხოსნურმა შემოქმედებამ შექმნა.

მალე, ალბად, კონკურსი გამოცხადდება და ეროვნულ საბჭოს წარედგინება დასამტკიცებლად უკვე დამზადებული გერბი.

ასევე ჩქარის ტემპით ვერ მიდის წინ ჰიმნის საქმე. პირველმა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. კერძო თაოსნობით გამართულმა კონკურსმა ვერც ერთი წარმოდგენილი ნაწარმოები ჰიმნიდან ვერ იცნო. მოთხოვნილება კი, ალბად, უკვე არის. ეს სხვათა შორის დაგვიმტკიცა სახელმწიფო თეატრში ოპერის სეზონის ამბავმა. აქ შესრულებულ იქმნა კ. ფოცხვერაშვილის ნაწარმოები, როგორც ჰიმნი. არ შეგვიძლიან ამ შემთხვევის გამო ჩვენი უკმაყოფილება არ გამოვსთქვათ. საქართველოს რესპუბლიკას ჯერ თავისი ჰიმნი არა აქვს. ამიტომ რომელიმე მუსიკალური ნაწარმოების შესრულება საჯაროდ, როგორც ჰიმნისა, ცოტა არ იყოს უტაქტო საქციელად უნდა ჩაითვალოს სწორედ ამ უტაქტობამ დაჰბადა საშინელი უხერხულობა თეატრში. ვითომდა ჰიმნის შესრულების დროს ზოგი ფეხზე იდგა, ზოგი იჯდა, ზოგი კი აღშფოთებული იძახდა, უნდა ვიცოდეთ, სავალდებულოა ჩვენთვის ფეხზე ადგომა თუ არაო. რომ ასეთი შემთხვევები აღარ გამეორდეს და ოფიციალურ შემთხვევებში ყველა თავის ჰიმნს არ ასრულებდეს, საჭიროა მთავრობამ ამ საკითხის გადაწყვეტაც დააჩქაროს.

როგორც პირველი კონკურსის შემდეგ ჩვენი ცნობილი მუსიკოსები ამბობდნენ, კონკურსის ნაყოფიერებისთვის საჭიროა არსებობდეს ერთი, მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექსტი ჰიმნისა. გვგონია, ურიგო არ იქნება, თუ მთავრობა სწორედ აქედან დაიწყებს და ჰიმნისთვის საჭირო ტექსტის კონკურსს გამოაცხადებს.

მართალია ჰიმნის საკითხი პირველ ხარისხოვანი საკითხი არ არის; მართალია ჩვენ სხვა, უფრო დიდ-მნიშვნელო-

---

წინად იყო წინააღმდეგობის გამწევი და დამარღვეველი. ეს განსხვავება ყოველთვის თვალ წინ უნდა გვიდგეს, როდესაც შევადარებთ ერთმანეთს ჩვენს ახლანდელს და წინანდელს პარტიულ მოღვაწეობას.

ეს არის ერთი, აგრე ვსთქვათ, ფორმალური მხარე ჩვენის საქმიანობისა. არის მეორეც, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი, არა ნაკლებ დამახასიათებელი ჩვენის ტაქტიკისა. მოგახსენებთ საქართველოში მომქმედ პოლიტიკურ პარტიებთან დამოკიდებულობის შესახებ. ჩვენში სამი ბურჟუაზიული პარტიაა — ეროვნულ დემოკრატების, რადიკალ-დემოკრატების და ეხლა ხან გამოცხადებული დამოუკიდებელთა პარტია. მათში რომ რაიმე თვალსაჩინო გავლენა ჰქონდეს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მხოლოდ ეროვ.-დემოკრ. პარტიაა. ჩვენი დამოკიდებულობა ამ პარტიებთან ყოველთვის ნათელი და გარკვეული იყო. შეუძლებლად მიგვაჩნდა შეთანხმება მასთან და ახლაც ამ პოზიციაზე ვდგევართ. არა თუ ძირითადი წინააღმდეგობაა ჩვენს და მათ შორის სოციალურ საკითხებში, ვერასოდეს შეეგუება ჩვენი დემოკრატიული ეროვნების შემეცნება მათ ნაციონალისტურ პოლიტიკას. სოციალისტური პარტიაც სამია — ჩვენი, ს.-დემოკრატების და ს.-რევოლიუციონერების. ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ წინააღმდეგი ტაქტიკური შეთანხმებისა ს.-რევოლიუციონერებსა და ს. დემოკრატებთან. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ სამწუხაროდ, რომ ჩვენი და მათი საერთო გამოსვლა მეტის მეტად იშვიათ შემთხვევაში თუ მომხდარა. თავისთავად ცხადია, რომ უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ჩვენსა და ს დემ. დამოკიდებულებას, რომელიც ყოველთვის ბრძოლისა და უთანხმოების ხასიათისა იყო. ჩვენი გამთიშველი იყო უმთავრესად ეროვნული საკითხი. ჩვენებური ს დემოკრატები ეროვნებს სახვათაშორისო საქმედ სთვლიდნენ, ყურადღებას არ აქცევდნენ, ებრძოდნენ კიდეც ქართველი ხალხის ეროვნულ შეგნებას, ეროვნულ განთავისუფლებას. ჩვენი პარტიისთვის ეროვნული საკითხი, ქართველი ერის განთავისუფლება ერთი ძირითადი საკითხთაგანი იყო, რომლის გადაუწყვეტელობით შებორკილი იყო მთელი ერის განვითარება და კერძოდ მშრომელი მასის განთავისუფლება. ყველას კარგად ახსოვს რამდენი უსამართლო დევნა და სიმწარე შეგვხვდა ჩვენ ამ ბრძოლის ნიადაგზე და საჭირო არაა აქ სიტყვის გაგრძელება.

მაგრამ რუსეთის რევოლიუციის მსვლელობამ დიდი ცვლილება მოახდინა ჩვენსა და ჩვენებურ ს.-დ მენშევიკების ურთიერთობაში. ეს მოხდა უფრო ადრე, ვიდრე საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდებოდა, ვიდრე გარემოება აიძულებდა მენშევიკებს ეცნოთ ქართველი ერის განთავისუფლების საჭიროება. ჩვენი და მენშევიკების გზები ჯერ კიდევ მაშინ შეხვდნენ ერთმანეთს, როცა ბოლშევიკებმა ძალით გაბატონება მოინდომეს ჩვენში. იყო დრო, როცა ბოლშევიკებს თანაუგრძნობდით, როგორც ოპოზიციას, როგორც მებრძოლთ იმათ წინააღმდეგ, რომლებიც აწარმოებდნენ რუსეთში ცენტრალისტურ პოლიტიკას და ანგარიშს არ უწევდნენ ერთა განთავისუფლების საკითხს. მაგრამ ბოლშევიკებმა რომ მართველობა ხელში ჩაიგდეს და საქმით ერთა განთავისუფლებას წინააღუდგნენ, ჩვენი დამოკიდებულება შეიცვალა უფრო გარკვეული სახე მიიღო უკანასკნელმა მაშინ, როცა ჩვენებურ მცირე რიცხოვან ბოლშევიკთა ჯგუფმა მოინდომა გარეშე ელემენტების დახმარებით საქართველოს ძალით დამორჩილება. ცხადი იყო, რომ ბოლშევიკების გამარჯვება მოასწავებდა ნამდვილად ცენტრალიზმის და უნიტარიზმის ბორკილების გამაგრებას, ქართველი ერის ნების ყოვლის მიჩლუნგებას და დამხობას მიუხედავად იმისა, რომ სიტყვით ბოლშევიკები უფრო ფედერაციის ემხრობოდნენ. ერთმანეთს დაუპირდაპირდნენ ჩვენი მენშევიკები, რომლებიც ქართველი ხალხის დიდს უმრავლესობას ეყრდნობოდნენ, ქართველ ხალხში ეძიებდნენ ძალას, და ბოლშევიკები, რომლებსაც გარეშეების, უცხოელების დახმარებით უნდოდათ გამარჯვება. ასე გამოდიოდა, რომ ქართველი ერი, ყოველ შემთხვევაში მისი დიდი ნაწილი, ებრძოდა გარედან მოსულ ხალხს. ბრძოლა იღებდა ძალაუნებურად ეროვნულს ხასიათს. აშკარა იყო, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩვენი თანაგრძნობა მენშევიკებს ეკუთვნოდა და მათ უნდა დავხმარებოდით, ვინაიდგან მათი მოქმედება ხელს უწყობდა იმ ჯაჭვის გაწყვეტას, რომლითაც მიბორკილი ვიყავით ცენტრალისტურ რუსეთთან, ხელს უწყობდა ჩვენს ეროვნულ განთავისუფლებას.

შემდეგ მოხდა რამდენიმე მრავალმნიშვნელოვანი მოვლენა, როგორც რუსეთის, ისე ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რასაც მოჰყვა დაბოლოს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადება. ჩვენი მენშევიკები მიემხრნენ ამ დამოუკიდებლობას, სათავეში ჩაუდგნენ თავისუფალ საქართველოს სახელმწიფოებრივობის მოწყობას და მხნედ და ენერგიულად ემსახურებიან ამ საქმეს. შეუძლებელია ამ ნიადაგზე არ მომხდარიყო ჩვენი და მათი დაახლოვება ჩვენი ბრძოლის საგანი უმთავრესად იყო მათი ეროვნული ნიჰილიზმი და, რაკი მათ ნებსით თუ უნებლიეთ აღიარეს ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლების საჭიროება და შეუდგნენ ჩვენი ქვეყნის თავისუფლების განხორციელებას, მოვიდნენ იმ საქმესთან, რომლისთვის ჩვენ მუდამ ვიბრძოდით და რომელსაც ისინი უარჰყოფდნენ — სრულიად ბუნებრივია, რომ მათთვის ხელი გაგვეწოდებია საერთო მუშაობისათვის. ეს ორი გარემოება — ერთის მხრით ის, რომ დღეს ჩვენი მუშაობა ყოვლის უწინარეს დადებითია, აღმშენებლობითია და მოითხოვს ჩვენგან მეტს დაკვირვებას და სიდინჯეს, რომ ჩვენ პასუხისმგებელი სახელმწიფოებრივი პარტია ვართ — და მეორეს მხრით ის, რომ წაიშალა განსხვავება ეროვნულ საკითხის გამო ჩვენსა და ს.-დემოკრატებს შორის და ამან გამოიწვია ჩვენი და მათი შეხვედრა და დაახლოვება, — ეს ორი გარემოება არის ის გარეგნული პირობები, ის ჩარჩო, რომელშიაც წარმოებს ჩვენი დღევანდელი მოღვაწეობა განთავისუფლებულ საქართველოში.

მაგრამ შევეხოთ ეხლა არსებითად ჩვენს მუშაობას, მის დედა საგანს. ეს საგანია, თუ როგორ შევხვდით ამიერკავკასიის უკანასკნელი თვეების პოლიტიკურ ამბებს, მერე საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, როგორ გზას ვადექით ერთისა და მეორეს შესახებ და როგორ პოლიტიკას ვაწარმოებდით და ვაწარმოვებთ. ყველას ახსოვს, რა თავზარი დაგვცა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობამ, რომელმაც ჩვენს დაუკითხავად ჩამოგვგლიჯა საუკეთესო ადგილი და უდიდეს ხიფათში ჩააგდო ქართველი ერის აღდგენის საქმე. ჯერ კიდევ ამის ადრე ვხედავდით, რომ მსოფლიო ომი განზე არ დატოვებდა ჩვენს ქვეყანას და აუცილებლად საჭირო იყო მცირეოდენი შეიარაღებული ძალის მომზადება მაინც, რომ მთლად ხელცარიელნი არ დავხვედროდით მტრებს, რომლებიც ყოველმხრიდან გვეპირობდნენ შემოსევას და განადგურებას. მოვითხოვდით ჯარის ნაციონალიზაციას და სიტყვით, წერით, საგანგებოდ გაგზავნილ პირების შემწეობით მოუწოდებდით მთელს ხალხს, განსაკუთრებით ამხანაგებს, შეიარაღებისთვის მაშინვე შევუდექით საკუთარის რაზმის შედგენას, რომელიც მოეწყო ათთობის პარტიზანული პოლკის სახელით და რომლის სახელოვანი თავდადებული მოღვაწეობა სამშობლოს თავისუფლებისა და რევოლიუციისათვის საუკეთესო ფურცლებია ჩვენს პარტიულ ცხოვრებაში. კარგად ვიცოდით მტერთა სიმრავლე, მაგრამ ღრმად გვწამდა, რომ ეს სიმრავლე ვერ მოსტეხდა ჩვენს სულს და ყოველი მტკაველი მიწა მხოლოდ სასტიკი ბრძოლისა და წინააღმდეგობის შემდეგ უნდა დაგვეთმო თუ დაგვემარცხებდა მტერი ფიზიკურად, არ უნდა დავმარცხებულიყავით მნეობრივად, სულიერად.

ჩვენს სულიერ სიმტკიცეს, ჩვენს მოეზადებას მტრებთან შესაბრძოლებლად აშკარად უშლიდა ხელს ამიერკავკასიის ერების გაუმიჯნველობა და მათი საქმეების მართვის ერთ-მეორეში დომხალივით არევ-დარევა. ცხადი იყო, რაკი რუსეთის რევოლიუციის ფრონტი დაირღვა, რუსეთის სახელმწიფო ფედერატიულად ვერ მოეწყო და დაიშალა, თითოეულს ერს თვითონ უნდა ეპატრონებია თავის თავისთვის, თვით უნდა გაძღოლოდა თავის მდგომარეობას, ეზრუნა თავის ინტერესებისთვის, თავის დაცვისათვის. ეს იყო საუკეთესო საშუალება წესიერებისათვის, რევოლიუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლად. ამიტომ, როცა ფაქტიურად ამიერკავკასია ჩამოშორდა რუსეთს, დაჟინებით მოვითხოვდით, რომ აქ ერები გამიჯნულიყვნენ, შემდგარიყო საქართველოს, სომხეთის და ადერბეიჯანის ავტონომიური რესპუბლიკების კონფედერაცია. სიმართლე ჩვენის შეხედულობისა სავსებით დაამტკიცა ჯერ ტრაპიზონის კონფერენციამ და მერე ბათომისამ. ამ კონფერენციებზე არ წამსდგარან მოპირდაპირის წინაშე ერთის ამიერკავკასიის წარმომადგენელნი, არამედ თითოეულის ერის — ქართველების, სომხების და თათრების — წევრები მოქმედებდნენ სრულებით დამოუკიდებლად და ძლიერ ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგოთ და დასამარცხებლად, კონფერენციებმა ნათლად გამოააშკარავეს ოსმალეთისთვის კავკასიელთა შეუთანხმებლობა და ... აქედან წარმომსდგარი უძლურება. ეს იყო ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ ოსმალთა ჯარები გაბედულად გამოეშურნენ ჩვენკენ...

(დასასრული იქნება).

განი საკითხები გვაქვს გადასაწყვეტი, მაგრამ კონკურსის გამოცხადება არც ბევრს დროს დაუკარგავს მთავრობას და არც ენერგიას; პოეტებისა და მუსიკოსებს კი სამუშაოს მისცემს ისევე, როგორც გერბის მიღებით ეროვნულმა საბჭომ ჩვენს მხატვრებს მისცა სამუშაო.

შინაური.

## კიდევ ლტოლვილებზე

ლტოლვილთა საკითხი ერთი იმ საკითხთაგანია, რომლისთვისაც ჩვენს მთავრობას თავიდანვე უნდა მიექცია ყურადღება. კერა-მოშლილი, აფორიაქებული, დატანჯული, მშიერი, შიშველი, სხვის მიწა-წყალს შეფარებული ხალხი ის ასაფეთქებელი მასალაა, რომელსაც მშვენივრად გამოიყენებს ყველა, ვისაც კი ვერაფრად ეჭაშნიკება ჩვენი ქვეყნის სიცოცხლე და თავისუფლება. ეს უცილობელი ჭეშმარიტებაა და ამას დამტკიცება არ ესაჭიროება. ამის მოწამე ვიყავით გუშინ, ამასა ვხედავთ დღესაც. განა ჩვენს ჭერს შემოფარებულნი არ არიან, რომ მადლობის მაგიერ იარაღით ხელში იბრძვიან ჩვენს წინააღმდეგ დუშეთის, ბორჩალოს, საჩხერის, ლეჩხუმის ფრონტზე? განა შემოხიზნულნი არ არიან, რომ კალიასავით მოსდებიან ჩვენს სოფლებს, სახელს უტეხენ ჩვენს მთავრობას, და სასურსათო კრიზისის შექმნით განგებ იმ ხრამს გვიმზადებენ, სადაც შეიძლება საქართველო შთაინთქოს? ლტოლვილებზე ბევრი სიტყვა იხარჯება და ბევრიც დაიწერა და იწერება მთავრობაც, საზოგადოებაც, კერძო პირიც იმ აზრისა არის, რომ ლტოლვილთა საკითხი ასე თუ ისე უნდა გარდასწყდეს, მაგრამ... იგი წყეულ საკითხად გარდაიქცა და ვერც ავად, ვერც კარგად ვერ გარდასწყდა... და ლტოლვილნი, უცხო ტომელნი, ჩვენს ქვეყანას სამადლოდ შემოფარებულნი მაგრამ უმადურნი, მუდამ გაბოროტებულნი ღრღნიან ჩვენს დოვლათს, სადაც კი ხელი მიუწვდებათ და თითო მუჭ მიწას იღებენ იმ უფსკრულის ამოსავსებად, რომელიც საქართველოს საბედისწეროდ გარდაექცევა. ეხლახანს მე ერთი უცხო ტომის ექიმი ვნახე. აღშფოთებული იყო საქართველოს თავისუფლებით, მაგრამ... იმასაც არა ჰმალავდა, რომ ლტოლვილთა მეოხებით საქართველოს ბუნების სიმდიდრე იღუპება. მას თვითონ მოევლო ბაკურიანის მხარე, საკუთარი თვალით ენახა ყველაფერი, ენახა, როგორ შეუბრალებრალებლად, დაუზოგველად იღუპება ბაკურიანის მდიდარი და ლამაზი ტყე. დამშეული, გაძვალტყავებული ხალხი როდიღა ჰზოგავს ბუნების სიმდიდრეს. წამოაქცევენ უზარმაზარ ხეს, დასწვავენ პატარას და ახალ ხეზე გადადიან, თითქოს ხალხის ჯავრს იმ ტყეზე ყრილობდნენ. მთავრობა რომ პატარა ფხიანი ყოფილიყო, მოაწყობდა რაიმე საზოგადო სამუშაოს, თითონაც ისარგებლებდა, ბუნების სიმდიდრესაც დაიცავდა და ლუკმას გაუჩენდა დამშეულ ლტოლვილებსაცო. ეს ერთი ჭეშმარიტება გამოერია იმ შავრაზმელ ექიმის გრძელ საბრალმდებლო სიტყვაში. განსაცდელის დიდი ბჭე როცა გავიარეთ, ლამის არის ეხლა გარდაგვექცეს საბედისწეროდ ის ანარქია და უწესოება, რომლის ცეცხლი ჩვენი ქვეყნის მკერდზე უფრო და უფრო ძლიერდება. მთავრობა ებრძვის ამ ანარქიას, ებრძვის ამ უწესოებას და, მის სასახელოდ უნდა ითქვას, ებრძვის თავ-განწირულ ი, ებრძვის და... ის კი ავიწყდება, თუ რა ჰშობს ამ ანარქიას და რა ჰკვებავს. რასაკვირველია, ანარქიის მიზეზი ისიც არის, რომ ცხოვრება დღეს კალაპოტიდან არის ამოვარდნილი და მისი სახე ჩამოუყალიბებელია. ასეთი ანარქია ყოველი გარდამავალი ხანის უექველი თანამგზავრია, როცა ძველი კვდება და ხალი იჭედება, მაგრამ... მაგრამ მაინც ჩვენს ანარქიას ერთი ათად, ერთი ოცად ის ლტოლვილნი აძლიერებენ და ჰკვებენ, საქართველოში რომ ბლომად თავი შეუფარებიათ. ვაღიაროთ ჭეშმარიტებად, რომ თუ ლტოლვილთ დროზე არ მოვუარეთ, ჩვენს სამშობლოს განსაცდელი სწორედ იმათ მხრივ მოელის, თუნდ ეროვნებას ნუ მიაქცევთ ყურადღებას, ნუ გაუწევთ ანგარიშს იმას, ვინ არის შორიდან გარდმოხვეწილი და ვინ არა, ვინ არის ქართველი ერისადმი ბოროლი ზრახვით აღზნებული და ვინ კეთილით. შეჰხედეთ მათ, როგორც მხოლოდ ლტოლვილთ, საკუთარ კერიდან აყრილ, დამშეულ, გაძვალტყავებულ ხალხს. ხომ ასეთი ხალხი, მშიერი, მწყურვალი, ხალხი, რომელიც ერთი მეორეზე ჰმარხავს სიმშილის, სიცივის მსხვერპლს შვილს, ცოლს, დედას, განა ასეთი ხალხი უშიშარია ქვეყნის კეთილდღეობისთვის, თავისუფლებისთვის, საერთო საქმისთვის? არა, ის ასაფეთქებელი მასალაა, რომელიც ადვილად იელვებს უკმაყოფილების ნაპერწკლის მიკარებაზე, ის საუკეთესო საგანია, რომელსაც ჩვენდა სავნებლად გამოიყენებენ სხვა და სხვა ექსპერიმენტებისთვის ჩვენი ქვეყნის ორგულნი და მოძულენი, თვით მესხელ-ჯავახელნიც, რომელნიც საქართველოს ღვიძლი შვილნი არიან და დღეს ბოროტი ბედის წყალობით თვის სამშობლოს კლდისა და ღრისათვის შეუფარებიათ თავი მშიერ-მწყურვალთ, საუკეთესო მასალას წარმოადგენენ უკმაყოფილების ცეცხლის ასაგიზგიზებლად მთავრობის წინააღმდეგ. ეს პირადი დაკვირვებით ვიცით. და რაღა ითქმის იმათზე, რომელთაც საქართველო თავის საწველ ფურად ჰქონდათ გადაქცეული და დღეს ბედის უმადურობით სუფრის თავიდან არიან წამოშლილი. გიკვირთ თქვენ, რომ ხან-გამოშვებით ამბოხების ალამი აფრიალდება ხოლმე ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ და ამ ამბოხებაში მონაწილეობას იღებენ ჩვენივე სისხლის და ხორცის მატარებელნიც, ჩვენივე ძმები, ჩვენივე შვილები? პირველ რიგში, მალე, დღესვე, თუ შესაძლებელია, უნდა დაისვას გადასაჭრელად ლტოლვილთა საკითხი. მესხელ-ჯავახელნი მალე უნდა დაბრუნდნენ უკან და გაცივებული კერა კვლავ გააჩაღონ, ან, თუ ეს ვერ მოხერხდა, მიეჩინოთ ბინა იქ, სადაც ეს შესაძლებელია, რომ ბარსა და გუთანს მოჰკიდონ ხელი; სომხობა და სხვა უნდა თვის მიწა-წყალს დაუბრუნდნენ ან მოეწყოს საზოგადო სამუშაო და იქ მიეყენოს ყველა, ვინც ჩვენს ქვეყანას შემოჰფარვია და ხელობად მათხოვრობა გაუხდია. ვინც მუშაობას არ ისურვებს, დეე წავიდეს აქედან, წავიდეს იქ, სადაც მუქთად, თბილად და ტკბილად შეინახავენ... თუ კაცთ-მოყვარეობას ვიჩენთ და უცხო ტომის ხალხს, ჩვენს ქვეყანაში შემოხიზნულს და ჩვენივე სავნებლად მომუშავეს, ჩვენ მიწაწყლიდან არ ვითხოვთ, ის მაინცა ვქნათ, რომ მათი ფიზიკური ძალა ჩვენს ეკონომიკას ცოტათი მაინც გამოადგეს. ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა და მომავალი.

ხანჯანიძე.

## ქვემო ხევის საღი პატრიოტიზმი

ნათქვამია: „ბარში, რომ ქკუა გამოილევა მთაში უნდა მოძებნოო და მართალიცაა. სამი თვე მომიხდა ქვემო ხევში ცხოვრება და დუშეთის მაზრის გლეხთა ბოლშევიკურ აჯანყებას იქ დავესწარი.

მოხევეებთან ძალიან დაახლოვებული ვიყავი და მათ „ერობას" (ყრილობას) გამოუშვებლად ვესწრებოდი და მონაწილეობასაც ვიღებდი, მეტად დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე განსაკუთრებით სამი სოფლის: სტეფანწმიდის (ყაზბეგის), სნოს და ცნოს შეერთებული კრებები სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა კრებები „ბოლშევიკების" შემოსევის დროს კრებებს თითქმის ყველა მამაკაცი ესწრებოდა.

ერობას ხევში მეტად თავაზიანად და დიდის პატივისცემით ეპყრობიან. აგრეთვე მტკიცედ არის დაცული პატივისცემა უფროსებისა და საზოგადოდ მოხუცებულებისა, ყოველ ერობაში შემოსულ უფროსს აუცილებლად ზეზე ადგომით ეგებებიან და მაშინვე შესაფერ ადგილასაც ათავსებენ. მათ სიტყვებსაც თითქმის სულგანაბული უსმენენ და პასუხსაც მეტად ზრდილობიანად აძლევენ. კრების დროს წესრიგი სასტიკად დაცულია და თავმჯდომარესაც სავსებით ემორჩილებიან.

ყოველთვის ჩემს ყურადღებას იქცევდა მათ მიერ გამოთქმული აზრი, რომელიც საღ გონებაზე იყო ყოველთვის დამყარებული.

ყოველი მოლაპარაკის, ნამეტურ მოხუცის სიტყვაში სჩანდა გულის სიღრმიდან ამოხეთქილი გრძნობა მამულის სიყვარულისა. არ შევცდები, რომ ვთქვა: სამწუხაროდ არც ერთი ჩვენი ქვეყნის კუთხეში არ შენახულა გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა წმიდად და შეუბღალავად ისე, როგორც ქვემო ხევში და სნოს ხეობაში. სწორედ სულიერ ტრაგედიას განიცდიდნენ სტეფან-წმინდელები, სნოველები და ცნოველები მაშინ, როდესაც მათ, მუდამ დარიალის კარების მცველებს, მადლობის მაგიერ უმადური ნაწილი თავისი ერისა, მისი ახლობელი მეზობლებიც კი უკან მიადგა და მათთვის ზურგში დანის ჩაცემას ლამობდა.

ვიმეორებ ნამდვილი სულიერი ტრაგედია დატრიალდა ამ სამ სოფელში, როდესაც მათ ყოველი მხრიდან მტერი მოადგა და განადგურებას უქადდა. მაგრამ შუაში მომწყვდეული ნამდვილი მამულიშვილები იმედს არ კარგავდნენ და დარწმუნებულიც იყვნენ, მსხვერპლად შეეწირებოდნენ განთავისუფლებულ სამშობლოს და გამარჯვებას მოუპოვებდნენ მას. და მართლაც თუ ორმა ოპერაციამ: პირველმა პოლკოვნიკ აბესაძის მეთაურობით და მეორემ ჯულელ-კონიაშვილისა და გედევანიშვილის მეთაურობით ბრწყინვალედ ჩაიარა, ეს მხოლოდ სტეფან-წმინდელებისა, სნოველებისა და ცნოველების მეოხებით. ფაქტიური მხარე ამ უკანასკნელი ოპერაციისა ვრცლად იყო აწერილი ბ. სიმონ ზაღურისა და პ. ჩხიკვაძის წერილებში. მე მაინტერესებს მხოლოდ საკითხი, თუ რამ შეუნარჩუნა ამ სამ სოფელს მამულის სიყვარული და გაუქარწყლა მათ მეზობლებს, რომელნიც მათ წინააღმდეგ გაილაშქრნენ და გაანადგურეს კიდევაც სტეფან-წმინდა? აჯანყებული გლეხები ამბობდნენ სიმშილობამ გვაიძულა წამოვსულიყავით ყაზბეგზე, რადგან იგინი კეტავდნენ დარიალის კარებს და თერგის ოლქიდან პურს არ უშვებდნენო. მაგრამ განა ყაზბეგლები მაძღრები იყვნენ და პური მათ არ სჭირდებოდათ?

ყაზბეგლებს მეტად შიოდათ, მაგრამ ისინი მთიულებივით არ გაიძახოდნენ: ჩვენ ისეთ მთავრობას დავემორჩილებით, რომელიც პურს მოგვცემს და კუჭს გაგვიძღებსო. იგინი მზად იყვნენ დახოცილიყვნენ სიმშილით, ოღონდ თავისუფლება შენარჩუნებოდა სამშობლოს. ქვემო ხევის ზემოხსენებულ სამ სოფელს კარგად აქვს შეგნებული საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა ეს შეგნება მათ ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი და ამ რწმენას მათ ვერავითარი ბოროტი სიტყვები ვერ შეურყევს და შეუბღალავთ. ამ სწორედ პოლიტიკური [illegible] შეგნება იყო მიზეზი იმ მოვლენისა, რომ მთელ დუშეთის მაზრაში ბოლშევიკურ მოძრაობის დროს მარტო ეს სამი სოფელი გამოეყო და არ ერიდებოდა სიკვდილსაც კი, რომ მათი რწმენა არავის შეებღალა და სამშობლოს წინაშე შერცხვენილი არ გამოსულიყვნენ.

მაგრამ ვისი მეოხებით აქვს ხალხს ასეთი შეგნება? როგორც არ მეუბნებოდნენ: ჩვენთან ერთხელაც კი არ მოსულა მთავრობის წარმომადგენელი და არც სხვა ვინმე, რომელსაც გაეცნო მათთვის საქართველოს ნამდვილი პოლიტიკური მდგომარეობა. სამწუხაროდ მთავრობას ჩვენთან არავითარი კავშირი არ აქვსო. მაგრამ თუ ქვემო ხევში არავინ მიდის კეთილი აზრების დამთესი, სამაგიეროდ იქ ნამეტურ სტეფან-წმინდაში და სნოში, მოიპოვებიან ნამდვილი მოწინავე პირები, რომლებიც არ ერიდებიან არავითარ შრომას ხალხის საკეთილდღეოდ. იგინი მუდამ ხალხთან არიან და მთელი თავისი ენერგიით ცდილობენ ნამდვილი შეგნება შეიტანონ ხალხში.

მეტად საპატიო ადგილი ამ მოწინავე პირებში უჭირავს სტეფან-წმინდის მღვდელს ბართლომე ღუდუშაურს. ბართლომე ღუდუშაური ეს ისეთი ბრწყინვალე პიროვნებაა ქვემო ხევში, რომლის მზგავსიც ძალიან ძვირად მოიძებნება ქართველ სამღვდელოებაში.

ღუდუშაური ხალხის საყვარელი მოძღვარია. იგი მუდამ ერობაში ზის ხალხთან და უქადაგებს მას ზნეობაზე და მამულის სიყვარულზე, ან და უკითხავს ხალხს გაზეთს. ამით ბართლომე ღუდუშაურს დიდი პატივისცემაა აქვს დამსახურებული ხალხში. თუ რამდენად საყვარელი პიროვნებაა ხალხისთვის ღუდუშაური ამას ნათლად ამტკიცებს შემდეგი შემთხვევა: „ბოლშევიკების" ყაზბეგში შემოსევის დროს, უკანასკნელებმა მოითხოვეს მეთაურები.

დაჟინებით მოითხოვდნენ მღვდელს. ამის გამო ხალხმა იგი დამალა მთაში, მაგრამ, როდესაც ყაზბეგლებმა მათ მწვერვალებიდან მტერს სროლა აუტეხეს ძირს სოფელში, ბოლშევიკები შევსიენ მთებს და იქ წაადგნენ თავზე მღვდელს.

დაიჭირეს და დასახვრეტად კავკავისაკენ გაისტუმრეს. სამი დარაჯიც თან გააყოლეს; ხალხმა, გაიგო თუ არა, მაშინვე ქალები, როგორც ნეიტრალური პირები დაადევნა უკან ფულით, რომ მღვდელი გამოეყიდათ მცველებისაგან და სადმე დარიალის მთებში გადაემალათ. მართლაც, ქალებმა პირნათლად შეასრულეს კაცების დანავალები და ორი ათას მანეთად მოძღვარი გაენთავისუფლებინათ და ხელ-ახლა დაემალათ მთებში. სწორედ ბედნიერი იქნებოდა ხალხი, რომ ღუდუშაურისთანა მოძღვარი ბლომად მოეპოვებოდეს.

არა ნაკლებ საპატიო ადგილი უჭირავს ქვემო ხევში სიმონ ზაღურსა, რომლის წერილებსაც ხევის ავ-კარგზე, ხშირად შეხვდებით ხოლმე სატახტო გაზეთებში.

არც ერთი საზოგადო საქმე არ გაკეთებულა და გაკეთდება ხევში, რომელშიაც სიმონ ზაღურს ღვაწლი არ მიუძღოდეს. ნამეტურ დიდი ენერგია დახარჯა მან ბოლშევიკების საწინააღმდეგო მუშაობაში. სწორედ სიმონის მეთაურობით გამაგრდა დარიალის ხეობა, როდესაც ბოლშევიკებმა უკან დახევა იწყეს. სიმონ ზაღურის მოხევეთა რაზმი მათ წინ გადაეღობა და სასტიკად დაამარცხა უკან დახეული მტერი.

სხვაც ბევრი მოიძებნება ქვემო ხევში მოწინავე პირი, რომელიც დაუღალავად მუშაობს ხალხში.

ექ. კილენჯერიძე.

გამომცემელი სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.


**ექიმი ნ. ი. მახვილაძე** იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარგებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მახაკოვის ქ. № 11. 1128

**ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი გ. გ. მეჰრაბიანცი**
ჩამოვიდა და განაახლა. შინაგან ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. ახალი რენტგენ-ელექტრ-კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, თავის ტვინის ვენის ტიპის, დიდი სოლონოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელ. № 7—92. 1340

**ექიმი ა. ვ. ლევენშტეინის კაბინეტები** წამლობა რენტგენის სხივებით და ელექტრონით. მიიღება ავადმყოფები შინაგან, ნერვიულ და ქალთა სნეულობით. რენტგენის სხივებით და ელექტრონით წამლობა წინასწარი ჩაწერით. სპეციალურად გულის, ფილტვების, კუჭის და ქაჭების ავადმყოფობა. ავადმყ. მიიღ. 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქ. № 5, ბინა № 3. ტელ. 12—46. ავადმყოფს თარჯიმანი უნდა ახლდეს თან. 991

**ექიმი ქალი რ. ბ. შიშლო-ხაბაზაშვილი** მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ეკლესიის ახლო ტელ. 9—26. 5087

**ექიმი კბილისა კონსტანტინე არდაზიანი** განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

**ექიმმა დიასამიძემ** განაახლა ავადმყ. მიღება ნაშუადღ. 1—2 სათ. 5—6 კვირის გარდა. ოლღას ქუჩა 15 ტელ 18—03. 2010

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დით მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 3 1304

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

**ექიმი ლ. ა. ხარაძიძე** იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 1290

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 113.

**ექიმი მ. ნ. მეფხაძე** ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკაში ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიული სნეულობით. 3 საათიდან ნაშუადღევის 5½ საათამდე. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკოვის ქ. № 19. 992

**ექიმი ბ. მ. მუხაძე** იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 5—77. 1030

**ექიმი პავლე არდაზიანი** დაბრუნდა იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—2 მელიქოვის ქ. 12, მე-9 უბანი. 01[illegible] № 14

**ექიმი ჟულუკიძე.** განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგან [illegible] ქირურგიულ ავადმყოფების მიღება: დილის 10-დან 11 საათამდე და საღამ[ოს] 5-დან—6-დე. ბორჯომის ქ. № 3, ტ[ელ.] 11—35. 2[illegible]

**ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი** (მედიცი[ნის] დოქტორი მიუნხენის უ[ნი]ვერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფ[თ] ყოველ დღე შუადღის 12—2 და ს[აღ.] 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, [illegible] ბებით და საშვილოსნოს სნეულებანი. [illegible] კოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთი[ა]ქის გვერდით. 90[illegible]

**ექიმი ი. ქ. აბაკელია** შინაგანი ავად[მ]ყოფობა. განსაკუთრებით ავა[დ]მყოფობანი გულმკერდისა: ფილტვების, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულის და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—8 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

**თვალის სამკურნალო მუდმივი ხაზოლით ექიმ დონხიძისა**
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 62[illegible]

**ექიმ ნაგახარდიანის პირველი კერძო სამკურნალო.**
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ბ. ა. ნაგახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმ.)
ე. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ზ. ზ. აგახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
აველიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
მ. მ. ზენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ს. გ. აველიხიანი—9—11 საკუთრივ ბავშვთა ავადმყ.
ა. ი. ტერ-გრიგორიანცი. 1—2 ს. შინაგანი.
საღამოთი:
ა. ნ. ახაკიანი: 6—7 ½. ქალური-ავადმყოფობანი და ქირურგიული:
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნაგახარდიანი.

**კერძო სამკურნალო ექ. ალექსიძის**
მოსიარულე ავადმყოფთათვის
სპეციალისტ ექიმებისა
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე
ა. დ. ალექსიძე შინაგანი და ქალთა სნეულებანი 11—1 ს. და საღ. 5—6 ს.
ნ. ტ. ანდრონიკაშვილი კანის და ვენერიული ავადმყ. 8—9 ს. და 6—7 ს.
გ. მ. რეკვავა შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს. და 4—5 ს.
ხმ. გ. ჩაფარიძე—საბავშო ავადმყოფობისა, 1—3 საათამდე.
სამკურნალოსთან არის ლაბორატორია, სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა. გამგე ლაბორატორიისა ექ. მ. მ. ტყემალაძე.
მისამართი: ერეკლეს ქ. № 6 ეგზარხოსის მოედანთან.
სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2019


## განცხადება

უნტეროფიცრები და ეფრეიტორები, რომლებსაც სურთ განაგრძონ სამსახური მანგლისის მეორე სანაპირო ლაშქარში, მიუხედავად ეროვნებისა შეუძლიან ჩაეწერონ ზემოხსენებულ ნაწილში 9 საათიდან ორ საათამდის, დილისით. ჯამაგირი მიეცემათ ასი მანეთი თვეში და ამის გარდა ყველაფერი ის, რაც სამსახურით ეკუთვნის ჯარის კაცს: ჭამა-სმა და ტან-საცმელი.

სანაპირო ლაშქრის უფროსი პოლკოვნიკი ხაგინაშვილი. 1341